აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

MUNICIPALITY COUNCIL OF ABASHA

0200 აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1 ტელ/ფაქსი 412: 29-19-19

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №1-054

აბაშა, 2020 წლის 3 სექტემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი

დანართი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1.მეორე რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება;
ბ) იურიდიული მიმართულებით მუშაობის 5 წელი;
გ) საქართველოს ორგანული კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ";
დ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;
ე) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;
ვ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების MS office Word და Ms office Excel ძალიან კარგად ცოდნა.

2. ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ა) უმაღლესი განათლება;
ბ) მუშაობის 2 წლის გამოცდილება მოქალაქეებთან ურთიერთობის მიმართულებით საჯარო სამსახურში;
გ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;
დ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;
ე) „საქმის წარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
ვ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების MS office Word და Ms office Excel ძალიან კარგად ცოდნა.

3. მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი

ა) უმაღლესი განათლება;
ბ) მუშაობის 2 წლის გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით საჯარო სამსახურში;
გ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;
დ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;
ე) ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი;
ვ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების MS office Word და Ms office Excel ძალიან კარგად ცოდნა.

4. მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი

ა) უმაღლესი განათლება;
ბ) მუშაობის 2 წლის გამოცდილება ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხებზე საჯარო სამსახურში;
გ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;
დ) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;
ე) საქართველოს კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“;
ვ) ძირითადი საოფისე კომპიუტერული პროგრამების MS office Word და Ms office Excel ძალიან კარგად ცოდნა.